

მუჰაჯირი ქართველის – ნური ეფენდი თავდგირიძის პოეზია

THE POETRY OF NURI EFENDI TAVDGIRIDZE – THE MUHAJIR GEORGIAN

ელზა ფუტკარაძე

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი
ბათუმი, საქართველო

Elza Putkardze

Batumi Shota Rustaveli State University
Niko Berdzenishvili Institute
Batumi, Georgia

აბსტრაქტი

როგორც ცნობილია, ჩვენი ქვეყნის ისტორიული ბედუკუდმართობის გამო, საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ვითარების შედეგად, ქართველი ხალხის ერთმა ნაწილმა დატოვა სამშობლო და უცხოეთში გადაიხვეწა. მათ იქაც გააჩნდნენ ქართული მხატვრული სიტყვა, შექმნეს ქართული პროზისა და პოეზიის ნიმუშები. ნაშრომში სწორედ ერთი მუჰაჯირი ქართველის – ნური ეფენდი თავდგირიძის პოეზიის შესახებაა საუბარი. კვლევის მიზანია მისი ლექსების შესწავლა, შეფასება-ანალიზი და გაცნობა მკითხველისათვის. სამწუხაროდ, ჩვენამდე მისი ლექსების ნაწილია მოღწეული და მიკვლეული, ხოლო დღიურები, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ჩანაწერები სოფელში გაჩენილ ცეცხლს გაუნადგურებია. მოძიებული მასალით გარკვეული წარმოდგენა გვექმნება მისი პოეზიის შესახებ და შესაძლებელია მისი შემოქმედების მთავარი თემისა თუ ქვეთემების გამოკვეთა. არის რამდენიმე ლექსი, რომელიც თქმის ფორმითა და შინაარსით სახასიათოა და ნური ეფენდი თავდგირიძეს ემოციური ხელწერის ავტორად წარმოგვიდგენს.

ნური ეფენდი თავდგირიძის ლექსები ტკივილიან-სევდიანი ამონაკვნესებია. მან არაერთი ლექსი მიუძღვნა ისტორიულ ადგილებსა და პიროვნებებს, ზოგჯერ სიყვარულსაც, მაგრამ ლექსების ძირითადი ნაწილი სამშობლოს მოშორებით გამოწვეული განცდებისა და მშობლიური სამოსახლოს ზღვარდაუდებელი მონატრების ტკივილიანი ეპოპეაა. ლექსები მისი სულიერი ბიოგრაფიის ეპიზოდებია და ღრმად გვახედებს მის შინაგან სამყაროში. გვაცნობს მუჰაჯირი კაცის სულის მოძრაობას. კერძოდ, სამშობლოს დატოვებით გამოწვეული განცდების წუთებიდან დაწყებული, უკვე გაჭაღარავებული, თმაგათეთრებული მუჰაჯირის სიცოცხლის ბოლო

წუთებამდე. თუმცა ნაღველი, დარდი, ტკივილი მისი ყოველდღიურობის თანმდევი, რამეთუ „მშობელ მიწას სხვანაირი გემო აქვს“ და მონატრება გაუსაძლისად ქცეულა მისთვის. სათქმელი უდიდესი ემოციითაა მოტანილი მკითხველამდე ისე, რომ მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხებით არაა განებივრებული. მიგვაჩნია, რომ არც საჭიროებს სათქმელი სხვა ხერხს, რამეთუ მის მაგივრობას ტკივილი ასრულებს.

ნაშრომში ნური ეფენდი თავდგირიძის სევდითა და განცდებით დამძიმებულ სულიერ მდგომარეობაზეა საუბარი. მისი ლექსების გაცნობა კი გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ მისი პოეტური ნააზრევი ოდენ ემიგრანტული პოეზიის კუთვნილებად არ უნდა დარჩეს და მას უნდა იცნობდეს მისი ნატრული სამშობლო, მკითხველთა ფართო წრე. აქვე დავძენთ, შესაძლებელია, რომ რამდენიმე ლექსმა ქართული პოეზიის ისტორიაში მოკრძალებული ადგილიც დაიჭიროს.

საკვანძო სიტყვები: ქართული ემიგრანტული პოეზია, მუჰაჯირი ქართველები, ნური ეფენდი.

ABSTRACT

As is well known, historical hardships and political climate in Georgia have driven a segment of the Georgian population to leave their homeland and seek new lives abroad. Even in exile, they managed to revive the Georgian artistic spirit, producing impactful works of Georgian prose and poetry. This paper focuses on the poetry of Nuri Efendi Tavdgiridze, a prominent Muhajir Georgian. The research intends to study, evaluate, and analyze his poems, while familiarizing readers with his literary legacy. Unfortunately, only a small portion of his poems has survived, while his diaries and folkloric-ethnographic notes were destroyed in a fire in his village. Nevertheless, the surviving materials offer a glimpse into his poetry, allowing us to identify its primary themes and subthemes. Several of his poems stand out for their distinctive modes of expression and content, positioning Nuri Efendi Tavdgiridze as the author of a remarkable poetic signature.

The poems of Nuri Efendi Tavdgiridze are poignant fragments of pain and sorrow. He dedicated many of them to historical places and figures, and occasionally to love; however, most of his works reflect a painful epic of emotions stemming from exile and an overwhelming longing for his native land. His poems are episodes of his spiritual biography, offering profound insights into his inner world. They depict the movements of a muhajir soul—from the moments of anguish following his departure from the homeland to the final days of an elderly exile, his hair turned white. Although sorrow, grief, and pain were constant companions in his life—because, as he noted, “the native soil has a different taste”—the longing became unbearable. His message reaches the reader with immense emotion, yet without embellishments of intricate artistic devices. We believe that his poetry requires no such adornment, as the pain itself acts as its expressive essence.

The paper focuses on the sorrowful and emotionally intense spiritual state of Nuri Efendi Tavdgiridze. Engaging with his poems allows us to conclude that his poetic

insights should not be restricted to the domain of émigré poetry alone; instead, they deserve recognition and appreciation by his homeland and a wider readership. We may even suggest that several of his poems deserve a modest yet significant place in the history of Georgian poetry.

Keywords: Georgian émigré poetry, Muhajir Georgians, Nuri Efendi.

შესავალი

მუჰაჯირობა ჩვენი ქვეყნის ისტორიის უმძიმესი წლებია. მშობლიური ქვეყნის, კუთხის, ეზო-კარისმიტოვება ურთულესი სულიერი მდგომარეობის ტოლფასია ადამიანისათვის. უამრავი ქართველის უმძიმესი ხვედრი აღმოჩნდა ეს ავადსახსენებელი რეალობა. როგორც გაზეთ „დროების“ კორესპონდენტი წერდა: „ესენი ჰკოცნიან მიწას, ხეებს, ყველაფერს – სულიერსა და უსულოს; რასაც კი ტოვებენ, ცხარე ცრემლების ღვრითა და გულდამწვავ ტკივილით ეთხოვებიან ხოლმე... ატირებული მიდიან უცხო ქვეყანაში“ (დროება 1878: 3). ერთ-ერთი ასეთი, უცხო ქვეყნისკენ მიმავალი, ატირებული მუჰაჯირი ქართველი გახლდათ **ნური-ეფენდი თავდგირიძე**. მან მუჰაჯირობის ტრაგიზმით გამოწვეული შინაგანი მდგომარეობა ლექსის ტაეპებს გაანდო. მკითხველს კი სამზერად შესთავაზა ტკივილით დასერილ-დაჭრილი სული, სამშობლოს მონატრებით დაღდასმული გული და ამ მდგომარეობის გადმომცემ-გამომხატველი არაერთი სულიერი ამონაკენესი – ლექსი დაგვიტოვა. ეს ლექსები გრძნობათა და სიტყვათა მხოლოდ შენივთება როდია მისთვის, არამედ შვილებია, ღვიძლი შვილები, სულის ნაწილები.

სამწუხაროდ, ნური ეფენდი თავდგირიძის ცხოვრება და შემოქმედება უცნობია ქართველი საზოგადოებისათვის. ამიტომ მისი პიროვნების გასაცნობად მოკლედ შევეხებით მისი ცხოვრების ზოგიერთ მხარეს. ამ ბიოგრაფიული ინფორმაციის მოძიება და დაზუსტება ჩვენ შევძელით მისი ნათესავებისა და, ასევე, თურქეთში მცხოვრები შთამომავლებისაგან. ის 1880 წელს შუახევის მუნიციპალიტეტში, სოფელ ლომანაურში, ახმედ თავდგირიძის ოჯახში დაიბადა. მამა 1840-1879 წლებში ოსმალეთის სულთნის სახლის კარისკაცი იყო. დედა, ჯევაჰირ ქამადაძე, სოფ. ნენიიდან იყო. აჭარის დედამშობლოსთან დაბრუნების შემდეგ ახმედი დაბრუნდა ლომანაურში, მაგრამ, მეფის რუსეთის ანტიეროვნული პოლიტიკით და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ბარბაროსული საქმიანობით შეწუხებულ მოსახლეობასთან ერთად, ახმედ თავდგირიძის ოჯახიც იძულებული გახდა 1893 წელს მუჰაჯირად წასულიყო ოსმალეთში. ის ბურსის ვილაეთის ინეგოლის რაიონის სოფელ ბახჩაყაიაში დასახლდა. მან 13 წლის უმცროსი ვაჟიშვილი – ნური წაიყვანა, ხოლო უფროსი ვაჟი – ზაბითი დატოვა სოფელში. 1921 წლამდე მისი ოჯახის წევრები ჩამოდიოდნენ აჭარაში. ნური მამას ხშირად ჩამოჰყავდა სოფელში და ტოვებდა. როგორც ირკვევა, მას ქართულ და არაბულ წერა-კითხვას აჭარაში ცხოვრების დროს ასწავლიდა ცნობილი სწავლული ლომან-

ეფენდი ქარცივაძე (ფუტყარაძე... 2018: 252). ნურიმ დაასრულა სტამბოლის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი ოსმალური ენისა და ლიტერატურის სპეციალობით. საქართველოში მობრუნებულმა ცოლად შეირთო დღევანელი ულფეთ ფუტყარაძე. თუმცა ბოლშევიკებისაგან დევნილი ისევ ბახჩაყაიაში დაბრუნდა. საზღვრის ჩაკეტვის შემდეგ ვეღარ ახერხებდა ჩამოსვლას. წასვლისას ნური ეფენდიმ თავისი 3-4 წლის შვილი ზულფიე დატოვა ძმასთან, ზაბით თავდგირიძესთან, რომელსაც შვილები დაეხოცა ციებით და უშვილოდ დარჩენილიყო.

ნური ეფენდი წლების მანძილზე ოსმალურ, თურქულ, არაბულ ენებსა და ლიტერატურას ასწავლიდა ინეგოლოს რაიონის სკოლებში. იყო თეოლოგი. წერდა ლექსებსა და დღიურებს. მისი დღიურები, ლექსების დიდი ნაწილი და შეგროვებული ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მასალა სოფელში გაჩენილმა ხანძარმა იმსხვერპლა. მხოლოდ გადარჩა ლომანაურში, ოჯახში, ძმასთან და სოფელში დატოვებულ თავის შვილთან გამოგზავნილი ლექსები. ის ამ მასალას 1968 წლამდე არაღეგალურად გზავნიდა. ჩვენამდე მოღწეულია 70-მდე ლექსი და, ასევე, 1946 წელს გამოგზავნილი ნური ეფენდის სურათი შვილებთან ერთად გადაღებული. ის 1969 წელს გარდაიცვალა. დაკრძალულია ბახჩაყაიაში.

ნური ეფენდი თავდგირიძის ლექსების ძირითად ნაწილს მიაკვლია პროფ. შუმანა ფუტყარაძემ, ნური ეფენდი თავდგირიძის შვილთაშვილმა. მან რამდენიმე ლექსი გადასცა პროფ. ავთანდილ ნიკოლეიშვილს, რომელმაც 2014 წელს გამოაქვეყნა „უქიმერიონის“ ფურცლებზე, №3-4. ამასთანავე, ა. ნიკოლეიშვილმა ნური ეფენდი თავდგირიძის ცხრა ლექსი „უცხოეთში შექმნილი ქართული პოეზიის ანთოლოგიაშიც“ შეიტანა. ეს ლექსებია: „მომაბრუნე უკან, გემო!“, „შორი გზიდან ვიყურებით...“, „მემღეპეთზე დერდში“, „ჩემი ლექსებით ვივლი“, „ჩემი სახლის კილტე“, „ლომან ეფენდი ქარცივაძეს“, „გაზაფხული აღუღუნდა“, „მუჰაჯირებს გიგვიჭირდა“, „მონატრება“ (ნიკოლეიშვილი 2014: 324-330). ლექსების გარკვეული ნაწილი ჩვენც მოვიძიეთ. შესაბამისად, კვლევის მიზნად დავისახეთ მისი ლექსების შესწავლა, შეფასება-ანალიზი და გაცნობა მკითხველისათვის.

კვლევის მეთოდები

კვლევისას გამოვიყენეთ ტექსტის დამუშავების, აღწერის, შეფასების, კრიტიკული ანალიზისა და სინთეზის მეთოდები.

მსჯელობა

როგორც აღვნიშნეთ, ნური ეფენდი თავდგირიძემ სიცოცხლის ძირითადი ნაწილი თურქეთში გაატარა. ბუნებრივია, სამშობლოს დატოვების განცდა ღრმა ნაიარევად დააჩნდა მის მესხიერებას, სულის ტკივილი კი მისი ყოველდღიურობა გახდა. ამ ტკივილით გამოწვეული სევდა-ნაღველი, წუხილი, აფორიაქება სხვის ქვეყანაში გულდაუდებელი კაცის ცხოვრების თანმდევი აღმოჩნდა. ეს კი სიცოცხლის ბოლო წუთამდ, გაჭაღარავებულ მუჰაჯირს არ ასვენებს. მისი სულიერი შფოთვა და მდგომარეობა გადამდებია მკითხველისათვისაც. ეცნობი მისი ლექსების ტაეპებს და გტკივა მისი სატკივარი, ხოლო აქეთ დარჩენილი შვილის მონატრებით გამოწვეული კაცის განცდები ემოციურ რკალში გახვევს. მისი ლექსები პოეტის სულიერი ბიოგრაფიის ეპიზოდებია. თანაზიარი ხდები სიტყვით მოტანილი უმძიმესი სულიერი განცდებისა. ყოველივე ეს უკვალოდ არ ქრება. ნათქვამი უამრავ ფიქრს, განცდას, წუხილს გიტოვებს.

თვალნათლივ, კინოკადრივით თვალწინ ცოცხლდება ნური ეფენდი თავდგირიდის ცხოვრების ყოველდღიურობა. ამიტომაც მის ლექსებში მუჰაჯირობის, სამშობლოს მოშორებით გამოწვეული უმძაფრესი განცდები იკითხება. გარდა ამისა, მან ლექსები უძღვნა ისტორიულ ადგილებსა და პირებს: ძველ ტროას – ჩანაქქალეს, ბეზმიალემ ვალიდე სულთანს (სულთან აზდულ მეჯიდის დედას) – შუშან თავდგირიდეს, გურჯი ხათუნს, ლომან ეფენდი ქარცივაძეს, გაზი ოსმან ფაშას. თუმცა მისი ლექსები ძირითადად მაინც მუჰაჯირობის გამანადგურებელ ემოციას გვაზიარებს. დიახ, მისი ლექსები არის სამზერო იმ სულიერი მდგომარეობისა, რაც სამშობლოს დატოვების წუთიდან აითვლება მისთვის და მივყავართ უკვე თმაშეთერებული მუჰაჯირის სიცოცხლის ბოლო წუთებამდე.

ბუნებრივია, არაა უცხო, ტკივილით, ცრემლით, მწუხარება-ნალველით სავსე რომაა ლექსის ტაეპები. შეუძლებელია გადამდები ემოციის გარეშე გაეცნო მის პოეტურ სტრიქონებს და არ დაგამწუხროს. ლექსში „მომაბრუნე უკან, გემო!“ გაცოცხლებულია მუჰაჯირი კაცის იმ წუთის, იმ წამის ფიქრები, როცა გემში დამჯდარი ტოვებს მშობლიურ მიწას. მკვდარია მუჰაჯირის გული და ბუნებაც კვნესის, „გარემოც ოხრავს“, გული კი, აქეთ, სამშობლოში რჩება. ადვილი წარმოსადგენია, როგორი იქნება სხვის ქვეყანაში, თუმცა სამშობლოში გულდარჩენილი კაცის ცხოვრება:

„ბათომიდან მიდის გემი,
ზღვას მიაპობს კვნესა-გვემით,
მაქეთ მრჩება გული ჩემი....
ოსმალეთში მიმაცილებს,
სევდა-სულის გადამრჩენი“.

დიახ, მუჰაჯირობის მძიმე გზას ადგას, სხვა ხსნა არაა, მიდის ფიზიკურად, თუმცა უგულოდ, უსულოდ. სული მშობლიურ კარ-მიდამოში დარჩა, მშობლიურ სახლში „გაეპარა“, იმ სახლში, ბიძას რომ ჩაბარდა. შფოთავს, წუხს და არ ასვენებს შეგრძნება, რომელსაც ჰბადებს მის ჯიბეში გაყიდული მშობლიური სახლის ფული, „უწვავს ჯიბეს“ ეს ტკივილიანი, სევდის ამშლელი ფული:

„ოსმალეთში მივალ, მარა
სული სახლში გემეპარა,
სახლი ემიას მიებარა,
ჯიბეს მიწვავს სახლის ფარა.“

მართლაც, შეუძლებელია ცრემლების გარეშე ჩაიკითხო ლექსის ტაეპები. თითქოს ჩვენც ვხედავთ, როგორ მოშორდა გემი ნაპირს. მუჰაჯირის იმედი, რომ სამშობლო ქვეყნის ნაპირს უმზერდა, გაქრა. ლამის მკითხველს ესმის განწირული კაცის ტკივილიან-სევდიანი ამოძახილი:

„აჭარლებო, თქვენმა შვილმა
მუჰაჯირად წევდა, მარა
ცხელი ცრემლით დანაცრული
სელამები დიგიბარა.“

და ბოლოს, ლექსი მთავრდება უდიდესი, შემადრწუნებელ-გამანადგურებელი პოეტური მიმართვით. მუჰაჯირს უკვე ენატრება და ტკივა თავისი სამშობლო, მოენატრა მისი წყლის გემო. მისთვის თავისუფლად მომდინარე წყალი არის სიმბოლო მშობლიური ეზო-კარისა, თავისი კუთხისა, ზოგადად, თავისი სამშობლოსი:

„მომაბრუნე უკან, გემო,
მომენატრა ჩემ წყლის გემო!...“

ასეა მისი გული დაჭრილი. ამ ჭრილობებს გამრთელებ-მოშუშება არ უწერია. ის სამუდამო ჭრილობაა, როგორც თავად იტყვის, იარაა, რადგან მშობლიური მიწა ობლად დარჩენილია. მის ეზო-კარზე თვალის შევლებას მხოლოდ წარმოსახვით თუ შეძლებს, მხოლოდ სიზმარში მყოფი თუ გაივლის მის ნაამაგარ ეზო-მიდამოში:

„მაქ დარჩენილი მიწა იარასავით მეწვის,
ხელში ჩამიგდო დერდმა, სევდა დღე-ღამე მებრძვის,
ჩემ ეზო-კარში, რა ვქნა, მარტო სიზმრებში ვივლი,

სამშობლოს ლამაზ გორებზე ჩემი ლექსები ივლის“ – ოხრავს მუჰაჯირი. ეს ცრემლიანი სიტყვები უსათუთეს ლექსად აიკინძა და ასეთად აკინძულმა გრძნობამ სამშობლოს ლამაზ გორებზე ნავალი ლექსების სურნელება მოგვიტანა. აუხდა კიდეც ის რწმენა, რომ „ჩემი ლექსები, ვიცი, მემლექეთამდინ ივლის“.

ასე იშლება ჩვენ თვალწინ გულდათუთქული კაცის პოეტური აღსარება. და მართლაც, სხვა როგორი შეიძლება ყოფილიყო „გულგამოკოჭვილი“ კაცი, რომლის ბედი მუჰაჯირობაა. ერთ-ერთ ლექსში მუჰაჯირად წასვლა ხატოვნად მიწის აზანზარების შემზარავ მდგომარეობას შეადარა და მისმა ცნობიერებამ „ნენეიც“ ველარ იცნო. სულში დასადგურებული მწარე, გამანადგურებელი ნაღველის დატოვება ველარ შეძლო და ეს უდიდესი განცდა-გრძნობა თვალებიდან ცხარეცრემლებად დაიღვარა. ეს ცრემლები კი ცხელია, მწველია, რადგან მშობლიური „ვათანის“, ნაამაგარ-ნალოლიავეები სახლ-კარის მიტოვებამ გააცხელა. როცა მისი ცრემლები მიწას წვავდა, ამ დროს მის სოფელში წვიმდა:

„მუჰაჯირად რომ მივდოდი,
აზანზარდა მიწა...
გულმა იმფრათ გამეიკოჭა,
ნენეიც ველარ ვიცან.
ეს ნამსხმანი მწარე ნაღველს
თვალებიდან ცრიდა.
ცხელი ცრემლი მიწას წვავდა,
ლომანავრში წვიმდა“.

ასე ეხმიანება მის შინაგან მდგომარეობას გარემო. თითქოს ხედავს, როგორ მისტირის მისი სოფლის უბნები: ნადიკვარი, ნიგვზნარების კილდე... სამშობლოს მოსაგონებლად სიმბოლურად სამახსოვროდ მიაქვს „სახლის კილტე“. ეს უბრალო „კილტე“ კი არაა, ეს უკვე უძვირფასესი განძი, რელიკვიაა მისთვის:

„მოგვტიროდა ნადიკვარი,
ნიგვზნარების კილდე...
სამახსოვროდ წამოვიღე
ჩემი სახლის კილტე“.

ტკივილი თანდათან ჯაჭვივით იკინძება. სამშობლოს მონატრება გაუსაძლისად იქცა მისთვის. ლექსში „აჭარას“ გვაცნობს თავის გულის ნადებს და ისევ, მერამდენეჯერ თანამონაწილე ვხვდებით სამშობლოს მონატრებული კაცის უსაზღვრო ტკივილისა. მართალია, კარგად

„გამომცხოვრებულან“, მაგრამ გული მაინც აქეთ, სამშობლოში, საკუთარ საბუდარ-სამოსახლოში „უწევთ“:

„ბურსას კარგად გამოვმცხოვრდით,
გული მაინც შენსკენ გვიწევს,
აქეთ რისთვის გამოგვდევენს,
რა სუჩი გვაქ, დღესაც ვიძევთ“.

საკუთარ თავთან მარტოდ დარჩენილს არ ასვენებს კითხვა – „აქეთ რატომ გამოგვდევენს?“ ეძებს მიზეზებს, პასუხს, მაგრამ ამაოდ. ეს ყოველივე კვლავ უსაზღვრო ტკივილად გროვდება, იმ ტკივილად, რომელიც არასოდეს მოსვენების საშუალებას არ მისცემს მას, იმ ტკივილად, რომელიც მისი მუდმივი განუშორებლობა და ყოველდღიურობა გამხდარა:

„უპასუხოდ დარჩენილებს
ჟამი გვაცრის გულზე დუღავს,
როისმე ნეტაი სამშობლოდან
გვადირსებენ მართალ ჯულავს?!“

ძალიან ბევრ ლექსშია ნახსენები მისი მშობლიური სოფელი ლომანაური. სიზმარივით, ძილ-ცხადივით დაჰყვება ლომანაურის ხატება მის მეხსიერებას. ყველაზე ლამაზი, ძვირფასი, საყვარელ-სათაყვანებელი სიტყვა მისთვის ლომანაურია, აჭარა, სამშობლოა. „ჩემო კარგო ლომანავრო, ძილშიც, ცხადშიც შენკენ ვიწევ“.

ერთგან წერდა: „ჩემი ლექსები, იცოდეთ, ხმელი აბედი, კვესია“. დიახ, ხმელი აბედია მისი სიტყვა, კვესია. მის სიტყვას ცეცხლი უკიდია, ცეცხლი წვავს, მონატრების ცეცხლი და ისევ გაურკვეველობა, ისევ ძიება, ისევ აფორიაქება, ისევ და ისევ პასუხის მოლოდინი – რატომ გაიწირენ?

„ამდენი შვილო, გამჩენო,
რიღასთვის გაგიწირია?!“
ან:

„აჭარის ხალხი კერიდამ,
რატომ აშაღე, უფალო?!
მიმოაბნიე თურქეთში
უსახლკარო და უფარო.“

მონატრება გაუსაძლისად ექცა, ტკივილი არ უყუჩდება, არ უფერმკრთალდება, პირიქით, უფრო და უფრო ახალგაზრდავდება, მეტად ღვივდება. გაუსაძლისობის საზღვრის ძიებაში, ჭირთათმენაში, სულის მაღამოდ თეთრფაფარა ფიქრის რაში გამოიგონა:

„მონატრებამ გამაგენჯა,
ვითამ მივალ აჭარაში,
ჩემ ეზოში ჩამომდგარა
თეთრფაფარა ფიქრის რაში.
ჩემს აჭარას გადავუფრენ
თეთრფაფარა ფიქრის რაშით,
თან ცრემლები შემეპარა,
მონატრების ლექსის თქმაში“.

წარუშლელ ემოციურ ზეგავლენას ახდენს ნატვრითი მიმართვა რაშისადმი – გააფრინოს, მის ლამაზ აჭარაში დატოვოს, აღარ მოაბრუნოს უკან. აი, მაშინ გაუმრთელდება სული, მოურჩება სულის ბრუმო, სულის იარები:

„გამაფრინე ფიქრის რაშო,
მომირჩინე სულის ბრუმო...
დამტყე ლამაზ აჭარაში,
უკან აღარ მომაბრუნო“.

უდიდესი სიყვარულითაა გამთბარი ლექსი „შენი ჭირიმე, აჭარავ!“ ავტორი ეფერება, ელოლიავენა, სიყვარულს უხსნის აჭარას. მონაქროლებ ქარსა და ნისლთან ერთად გამოამგზავრებს მონატრებასა და ტკივილს აჭარაში, რომელიც მისთვის მზისთვალის სხივია: „ჩემო ლამაზო აჭარავ, ჰგავხარ მზისთვალის სხივს“. მთისა და ზღვის, ზეცის, მშობლიური ყანის, ბაღის, ჭაღის ნატრულია, ხოლო დაობლებული სახლი ბავშვივით მოსაფერებელი გამხდარა: „ბავშვივით მოვეფერები ჩემს დაობლებულ სახლს“ და კუთხის მონატრების გადაულახავი ტკივილი ისევ ხშიანდება ლექსის ტაეპებით:

„ლომანაურის ნატრული შევეკედლები ცას,
იქიდან გადმოვფრინდები, ვინ დამიკავებს გზას?!“

მის ლექსებს თვალს რომ გადავავლებთ, ვნახავთ, რომ ლაიტმოტივად გასდევს ტაეპი: „მშობელ მიწას სხვანაირი გემო აქვს“. ყველა ლექსსა თუ ამონაკვნესში მის სულს ვათანის (მშობლიური ადგილის) ნაღვერდალი წვავს და თუთქავს. უცხოეთის ცის ქვეშ მკვიდრობს, სხვაგანაა, მაგრამ გული აქ დარჩენია. აქ დარჩენილი გულის ნაწილი, გულის ნაჭერი კი აჭარაა:

„ფიქრებში წველ, გავფრინდი, გადაგიფრინე აჭარავ,
უბრალო მიწა კი არ ხარ, შენ ჩემი გულის ნაჭარავ“.

ამიტომ ნური ეფენდი თავდგირიძის ასეთ ამონაკვნესებში ხშირად მეორდება ნატვრა მემლექეთში დაბრუნებისა: „ჩამატანე, ღმერთო ხელი, დამაბრუნე მემლექეთში“. საბუდარის ტკივილი, ამ ტკივილით გამოწვეული სევდა-ნაღველი, დარდი მოსვენებას აკარგვინებს. სხვის მიწა-წყალზე ბუდე ვერ გაიკეთა, ვერ დაიბუდა. ეძახის ძველი ბუდე. ამ მოლოდინის შეგრძნება აფორიაქებს:

„სახლი-კარი მენატრება,
მელოდება ძველი ბუდე,
ექვსი ათი წელი აქ ვარ,
მარა ვერსად დავიბუდე.
წუთისოფლის უღრან ტყეში,
არ გასწორდა გზები მრუდე,
აქეთ გული ვერსად დავდე,
ბურსას ვერსად დავიბუდე“.

ამ ტკივილს მიყურადებულისათვის ერთადერთი შვებაა – ნატვრა ჩიტად ქცევისა: „რა იქნება, ჩიტი ვიყო, სამშობლოში გადავფრინდე“. დიახ, სულის საოხი ჩიტად ქცევაა, მონაქროლებ ქარსა და ნიაზე მიჯაჭვაა, მთვარის ნათელს გამოყოლა სამშობლოსაკენ:

„გადამაფრინე მტრედივით, გადამატარე მთები,
ლომანავრში რომ ჩამაფრენ, იქ დამიკეცე ფრთები“.

მაგრამ ეს ხომ წარმოსახვაა, რეალობა შეუცვლელია, მწარეა, სამშობლოსკენ მომავალი კარი დაკეტილია, „დაყრილია“:

„შენთან მობრუნება ყველთვინ გულში გვედო,
კარი დიგვიყარეს ჩვენო მემლექეთო“.

წუთიერად წარმოვიდგინოთ მდგომარეობა იმ მუჰაჯირისა, ვისთვისაც მშობლიური სამოსახლოს დასიზმრება მონახულების ტოლფასია და

ასეთად განათენები ღამე მისთვის სხვაგვარად გამორჩეულია. ბუნებრივია, ძალაუწებურად შეგუებულია იმ მდგომარეობას, რომ სამშობლოში დაბრუნება არაა მისი ხვედრი, ხოლო იმედად სიზმარში ნანახ მემლექეთს იტოვებს. აქვე მშობლიური კარ-მიდამოს სიზმრისეული ნახვით გამოწვეულ განცდებსაც გაგვიმხელს ხოლმე:

„წუხელ კარგი ღამე მქონდა,
მემლექეთი სიზმრად ვნახე...
ჩიტი ვიყავ, ფრთებიანი,
მთა-გორები გადავლაზე.
სახლთან ფრთები შევიკეცე,
დირეგები გავამაგრე,
მევეფერე, შამოვმახე:
– არ იტირო, სახლო, ჰაგრე!...
მევიარე მთა და ბარი,
მევეფერე ხევებს, ქედებს,
ლომანავრზე რომ მიველი,
ჩემ ეზო-კარს გადავხედე“.

ეს წარმოსახვა აძლებინებს. ასე მიმოივლის სოფლის უბნებს და მკითხველსაც ამწუხრებს ის, რომ სახლის უკან, დიდყანაში, ბავშვობისდროინდელი მისი ნაფეხურები აღარ ჩანდა: „წაშლილიყო ჩემი კვალი“ – ამოიხრებს მუჰაჯირი და გვზარავს ამონაკვნესი:

„– არ წახვიდე! არ წახვიდე!
მომღეროდა წყაროს წყალი...“

მართალია, მისი ნაწერების მთავარი თემა, ძირითადი ძარღვი არის სამშობლოს მონატრებით გამოწვეული განცდების გამომზეურება, ტკივილიანი გულისნადების გაცნობა, მაგრამ ზოგჯერ წამიერად გამოანათებს ხოლმე მის ცხოვრებაში. ეს გამოანათება კარგად ჩანს ლექსში „გაზაფხული აღულუნდა“. საყვარელი ადამიანის ნახვა მცირე ხნით თუ მოუტრეხს „სულის ბრუმოს“ და „გულბანდის იარებს“:

„გაზაფხული აღულუნდა, რავარც ტრედის ჭუჭულები,
ჩემი თავი თუ არ გიყვარს, აღარ დეგეფურჩულები.
მალმალ გულით მენატრები, ცეცხლის ალად ავვარდები,
ჩემი თავი თუ არ გიყვარს, წავალ, წყალში ჩავვარდები.
ჩემ ეზოში გეიარე, შორ-შორ ნულარ იარები,
მომირჩინე სულის ბრუმი და გულბანდის იარები“.

ასევე, სასიმღეროდაა ქცეული სატრფიალო თემაზე შექმნილი ლექსი – „იაო, ლამაზო გოგონიაო“. ცოტათი გულს უთბობს ლამაზი, იისფერთვალემა გოგოს სახე:

„იაზე კარგი შენა ხარ, გულჩიჩეგი რომ გქვიაო,
გულის კაკალში მიზიხარ, ლამაზო გოგონიაო“.

ერთია, რა სათქმელი გაგვანდო ნური ეფენდი თავდგირიძემ და მეორე, როგორ მოიტანა ეს მკითხველამდე. შეიძლება ითქვას, რომ მისი ლექსების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები მხოლოდ ტკივილია. არც საჭიროებს სათქმელი სხვა ხერხს. თუმცა გვხვდება ხელწერის ნიმუშებიც: „აჭარა მზისთვალის სხივია“, „ცხელი ცრემლი“, „გაზაფხული აღულუნდა“, „ჩემი ლექსები ხმელი აბედი, კვესია“, „შავი ნისლი მთვარის

ნათელს საცერივით ცრიდა“ ან „შევეყრებ ამ ჩემ ბახჩაში კახამბლებს მკლავებგაშლილებს, მენატრებიან, ვამგვანებ ჩემი ზულფიეს ბადიშებს“.

დასკვნა

ამგვარად, ნური ეფენდი თავდგირიძის ლექსები უშუალოდ, სადად, ლექსიკური დიალექტიზმების სიჭარბით წარმოგვიდგენს მუჰაჯირი კაცის სულიერ მდგომარეობას, შფოთვას, სამშობლოს, კუთხის, მისი სოფლის მონატრებით გამოწვეულ განცდებს. ეს განცდა დამთრგუნველი, ემოციური, უდიდესი ზემოქმედების მომხდენი და ტკივილიან-სევდიანია. ლექსის ტაქეზებით იკითხება სულიერი შფოთვა, გაუსაძლისობა, ჭირთა თმენა და, ფაქტიურად, მისი პოეზია ტკივილიანი ეპოპეა სამშობლოს ნატრული კაცისა. ერთია, მუჰაჯირობის ისტორიული კუთხით შეფასება, მაგრამ სხვაა ამ პროცესით განპირობებული ხვედრი პიროვნებებისა. მან მუჰაჯირობის რეალობა და ამ რეალობით გამოწვეული პიროვნული ტრაგედია მხატვრული რეალიებით გვიჩვენა. თან ეს ემოციური ფონი და სასოწარკვეთა მხოლოდ ნური ეფენდი თავდგირიძის პიროვნული მდგომარეობა არაა, სამშობლოს მიტოვებით და სხვაგან იძულებით გადახვეწილი ათასობით მუჰაჯირის სევდა-ნაღველის, ტკივილის განზოგადებული სახეა. შესაბამისად, ლექსების შინაარსი ემოციურია. არის რამდენიმე ლექსი, რომელიც თქმის ფორმითა და შინაარსით სახასიათოა და ნური ეფენდი თავდგირიძეს ემოციური ხელწერის ავტორად წარმოგვიდგენს. აქვე დავძენთ, შესაძლებელია, რამდენიმე ლექსმა ქართული პოეზიის ისტორიაში მოკრძალებული ადგილიც დაიჭიროს. მისი პოეტური ნაფიქრ-ნააზრევი მხოლოდ ემიგრანტული პოეზიის კუთვნილებად არ უნდა დარჩეს. აუცილებლად მიგვაჩნია მისი პოეზიის პოპულარიზაცია და გაცნობა არა მხოლოდ ქართველოლოგიური საკითხებით დაინტერესებული პირებისათვის, არამედ ფართო საზოგადოებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

დროება 1878: გაზეთი „დროება“. თბილისი, 1878, №40, გვ. 3.

ნიკოლეიშვილი 2014: ნიკოლეიშვილი ა., უცხოეთში შექმნილი ქართული პოეზიის ანთოლოგია. ქუთაისი, 2014. გამომც. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ფუტკარაძე... 2018: ფუტკარაძე შ., მალაყმაძე რ., ბათუმის სახე ნური ეფენდი თავდგირიძის პოეზიაში: ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის საერთაშორისო კონფერენციის – „ბათუმი წარსული და თანამედროვეობა, IX“ – მასალები. ბათუმი, 2018.

References and Sources

Droeba 1878: Newspaper “Droeba”. Tbilisi, 1878, №40. p. 3.

Nikoleishvili 2014: Nikoleishvili A., Anthology of Georgian poetry created abroad. Kutaisi, 2014. Akaki Tsereteli State University Publishing House.

Phutkaradze 2018: Phutkaradze Sh., Malakmadze R., Reature of Batumi in the Poetry of Nuri Efendi Tavdgiridze: Proceedings of the International Scientific Conference of the Niko Berdzenishvili Institute of Batumi Shota Rustaveli State University-Batumi Past and Present, IX. Batumi, 2018.